# ზეიმი სპორტის სასახლეში

ქართული მეცნიერებისა და კულტურის სიამაყეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არსებობის 50 წელი შეუსრულდა. ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გამართული დიდი საიუბილეო ზეიმი. ზეიმზე ჩამოვიდნენ საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მოძმე რესპუბლიკათა უნივერსიტეტების რექტორები, აკადემიკოსები, პროფესორები, საზღვარგარეთელი სტუმრები, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების დელეგაციები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინური პრემიის ლაურეატმა, უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ი. ნ. ვეკუამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი მიძღვნილი ზეიმი გრძელდება.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 209 (3693)

23 ოქტომბერი, ოთხშაბათი. 1968 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## რა სახეობებში გამოვლინდებიან ჩემპიონები დღეს

**ველოსპორტი.** საგზატკეცილო რბოლა საერთო სტარტით (პირადი პირველობა).

**ტანვარჯიში.** ქალები. გუნდური შეჯიბრება (აბსოლუტური პირველობა).

**ცხენოსნობა.** წინაღობათა გადალახვა (პირადი პირველობა).

**ცურვა.** ქალები. 200 მ ბრასი, 100 მ გულაღმა. ვაჟები. 400 მ თავისუფალი სტილით, 400 მ კომპლექსური ცურვა.

**წყალში ხტომა.** ქალები. კოშკი.

**ტყვიის სროლა.** ნებისმიერი შაშხანა (სტანდარტი 3×40), მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლა.

# ეპიცენტრი შეიცვალა

კვირას, როგორც კი „სპორტის დედოფლის" რაინდებმა ბრძოლა დაამთავრეს, თამაშების სიმძიმის ცენტრმა „აუდიტორიო ნასიონალისა" და ოლიმპიური აუზისკენ გადაინაცვლა. ამ ბაზებზე ტარდება ტანმოვარჯიშეთა და მოცურავეთა შეჯიბრებები, რაც ყველაზე მეტად იზიდავს მაყურებელს. მაგრამ გულშემატკივრები არც სხვა სახეობების წარმომადგენლებს აკლიათ. ველოდრომზე, მაგალითად, ბოლო დღეს 15 ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი. ორშაბათს აქ გამოვლინდნენ ჩემპიონები გამოდევნებით გუნდურ და ტანდემებით რბოლაში. გუშინწინ ცხენოსნებმა შედეგები შეაჯამეს სამჭიდში, მედლების განაწილება დაამთავრეს აფროსნებმა, თამაშების ჩემპიონები გამოვლინდნენ, აგრეთვე, 100 მეტრზე ბატერფლაით ქალთა და ვაჟთა ცურვაში, ვაჟთა ესტაფეტაში 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით, ესპადრონით ფარიკაობაში და მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში.

საბჭოთა კავშირის აფროსნებმა პირველ დიდ წარმატებას რომის ოლიმპიურ თამაშებში მიაღწიეს. მაშინ „ვარსკვლავის" კლასში ჩემპიონობა დაისაკუთრა პინეგინმა (მატროსი შუტკოვი), რომელმაც ნეაპოლის უბეში ყველა მეტოქე დაჯაბნა. ტოკიოში „ფინის" კლასის ნავებით ტურნირში ა. ჩუჩელოვი მეორე იყო, აქ კი, ქალაქ აკაპულკოს ულამაზეს უბეში ამ კლასის ნავებით თავიდანვე კიევე ლი მშენებელი ინჟინერი ვ. მანკინი დაწინაურდა. იგი არც ერთ რბოლაში არ ჩამოსულა VI ადგილზე დაბლა და ოქროს მედალი ბოლო შეჯიბრებამდე გაინაღდა. მანკინის წარმატება შემთხვევითი როდი იყო. შარშანდელ წინაოლიმპიურ კვირეულში მან ბრწყინვალედ იასპარეზა და მაშინაც უძლიერესის სახელი დაისაკუთრა.

ველოსიპედისტთა ტურნირში საინტერესო ამბავი მოხდა. გამოდევნებით გუნდურ რბოლაში სსრ კავშირის კოლექტივი III-IV ადგილებისთვის იტალიელებს შეხვდა და დამარცხდა. ფინალში პირველობა გფრ-ის წარმომადგენლებმა მოიგეს, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ ეს გუნდი წესის დარღვევისთვის იქვე მოხსნა შეჯიბრებიდან და ოქროს მედლები დანიელებს გადასცა. ველოდრომზე გამოცხადდა: ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს იტალიისა და სსრ კავშირის გუნდები მიიღებენ. მაგრამ... შემდეგ, როცა მსაჯთა კო-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

# ოლიმპიადის ცაბლო

### აკადემიური ნიჩბოსნობა

#### ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. სსრ კავშირი (ა. სასი, ა. ტიმოშინინა) — 6.51,82
2. ჰოლანდია — 6.52,80
3. აშშ — 6.54,22
4. ბულგარეთი — 6.58,48
5. გდრ — 7.04,92
6. გფრ — 7.12,20

#### ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭოდ

1. გდრ (ი. ლიუკე, ხ. ბოტე) — 7.26,56
2. აშშ — 7.26,71
3. დანია — 7.31,84
4. ავსტრია — 7.41,80
5. შვეიცარია — 7.46,79
6. ჰოლანდია — ფინიშამდე არ მისულა

#### ორადგილიანი გასაშლელი მესაჭით

1. იტალია (პ. ბარანი, რ. სამბო, მესაჭე — ბ. ჩიპოლა) — 8.04,81
2. ჰოლანდია — 8.06,80
3. დანია — 8.08,07
4. გდრ — 8.08,22
5. აშშ — 8.12,60
6. გფრ — 8.41,51

#### ოთხადგილიანი უმესაჭოდ

1. გდრ (ფ. ფორბერგერი, დ. გრაპი, ფ. რიულე, ფ. შუბერტი) — 6.39,8
2. უნგრეთი — 6.41,64
3. იტალია — 6.44,01
4. შვეიცარია — 6.45,78
5. აშშ — 6.47,70
6. გფრ — 7.08,22

#### ოთხადგილიანი მესაჭით

1. ახალი ზელანდია (რ. ჯოისი, დ. სტორი, რ. კოლინჯი, უ. კოული, მესაჭე — ს. დიკი) — 6.45,62
2. გდრ — 6.48,20
3. შვეიცარია — 6.49,04
4. იტალია — 6.49,54
5. აშშ — 6.51,41
6. სსრ კავშირი (ა. ნემტირევი, ნ. სუროვი, ა. მიშინი, ბ. დუიუნოვი, მესაჭე ვ. მიხეევი) — 7.00,00

#### რვაადგილიანი

1. გფრ (ა. მეიერი, დ. შრეიერი, რ. ჰენინგი, ლ. ულბრიხტი, ჯ. ხოტენროტი, ე. ხირშფელდერი, ი. ზიბერტი, რ. ბოსე, მესაჭე — გ. ტირში) — 6.07,00
2. ავსტრალია — 6.07,98
3. სსრ კავშირი (ზ. იუკნა, ა. ბაგდანავიჩუსი, ვ. სტერლიკი, ა. მარტიშკინი, ვ. სუსლინი, ვ. ბრიედისი, ვ. კრავჩუკი, ი. იაგელავიჩუსი, მესაჭე — ი. ლორენცსონი) — 6.09,11
4. ახალი ზელანდია — 6.10,43
5. ჩეხოსლოვაკია — 6.12,17
6. აშშ — 6.14,34

### თავისუფალი ჭიდაობა

#### უმძიმესი წონა

1. ხ. ნაკატა (იაპონია)
2. რ. სანდერსი (აშშ)
3. ს. სუხბატარი (მონღოლეთი)
4. ნ. ალბარიანი (სსრ კავშირი)
5. ვ. გრასი (იტალია)
6. ს. კუმარი (ინდოეთი)

#### მძიმე

1. ი. იუტაკე (იაპონია)
2. დ. ბეჰი (აშშ)
3. ა. გორგორი (ირანი)
4. ა. ალიევი (სსრ კავშირი)
5. ი. შავოვი (ბულგარეთი)
6. ზ. ჟედზიცკი (პოლონეთი)

#### ქვემსუბუქი

1. მ. კანეკო (იაპონია)
2. ე. ტოდოროვი (ბულგარეთი)
3. შ. საიდ-აბასი (ირანი)
4. ნ. კარიპიდიდი (საბერძნეთი)
5. პ. კომანი (რუმინეთი)
6. ბ. თედეევი (სსრ კავშირი)

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)



ე. ნოვიკოვა.




ვ. გავრილოვი.

MEXICO 68

# ეპიცენტრი შეიცვალა

(გაგრძელება)

ლიგიამ გფრ-ის გუნდის ხელმძღვანელთა პროტესტი განიხილა,... გადაწყვეტილების მეორე ნახევარი შეიცვალა (დასავლეთგერმანელებმა ოქრო ვერ დაიბრუნეს): იტალიელები ისევ III ადგილზე დატოვეს. ვერცხლის მედლები კი საორგანიზაციო კომიტეტის სეიფში დარჩა. ტანდემებით რბოლაში თამაშების ჩემპიონები გახდნენ ფრანგი სპრინტერები დ. მორელონი და პ. ტრანტენი.

ამრიგად, სსრ კავშირის ველოსიპედისტებმა (ლაპარაკია ტრეკზე რბოლაზე) ვერც ამ ოლიმპიადაში მოიპოვეს მედალი და მხოლოდ იმ 8 ქულით დაკმაყოფილდნენ, რომელიც კოლექტივს ო. ფხაკაძემ და გამოდევნებით გუნდური რბოლის მონაწილეებმა მოუპოვეს.

მელბურნის ოლიმპიადის (მაშინ თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის სპორტსმენებმა, რომელთა შორის თბილისელი ბ. ნიკიტინიც იყო, ბრინჯაო მოიპოვეს) შემდეგ საბჭოთა მოცურავეები გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ვერ ავიდნენ. ალბათ, ამ საზიანო ტრადიციის ბრალი იყო, რომ მეხიკოში მოსკოველმა ვ. ბურემ ეტაპი უკანასკნელმა დაამთავრა (2.02,3). მეორე ეტაპზე მისგან ესტაფეტა მიიღო გ. კულიკოვმა (ხაზაროვსკი), რომელმაც მხოლოდ ის შეძლო, რომ გუნდი VII ადგილზე გადაიყვანა (ეტაპზე აჩვენა 2.01,2). III ეტაპი ს. ბელიც-გეიმანმა 2 წუთსა და 05 წამში გაცურა და გუნდი კიდევ 2 საფეხურით დააწინაურა. ბოლო ეტაპზე ესტაფეტა მიიღო ლ. ილიჩოვმა. მანამდე სსრ კავშირის გუნდს უსწრებდნენ აშშ-ს, ავსტრალიის, კანადისა და საფრანგეთის მოცურავეები, მაგრამ ილიჩოვმა შეუძლებელი შეძლო — 1.57,6. თავის ეტაპზე მან გაუსწრო კანადისა და საფრანგეთის სპორტსმენებს და გუნდს საბოლოოდ III ადგილი მოუპოვა—8.01,6. ჩემპიონი გახდა აშშ-ს კვარტეტი — 7.52,3. ეს შედეგი 0,2 წამით ჩამორჩება ტოკიოში დამყარებულ ოლიმპიურ რეკორდს. ავსტრალიელები II ადგილზე გავიდნენ—7.53,7.

ბატერფლაით 100 მეტრზე ქალთა შეჯიბრებაში მსოფლიოს რეკორდსმენს ჰოლანდიელ ა. კოკს ოქრო ავსტრალიელმა ლ. მაკლემენტსმა „წაართვა" — 1.05,5. კოკი საერთოდ უმედლოდ დარჩა. ვაჟებში იგივე სტილით ამავე დისტანციაზე ასპარეზობა მოიგო დ. რასელმა (აშშ) — 55,9. ჩვენმა სპორტსმენებმა ვ. ნემშილოვმა (58,1) და ი. სუდალცევმა (58,8) IV და VI ადგილები დაიკავეს. ნემშილოვის მაჩვენებელი 0,3 წამით სჯობს ლენინგრადელ ა. გორდეევის მიერ შარშან დამყარებულ საკავშირო რეკორდს.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)



ნ. ჩიჟოვა.



ვ. კოსინსკი.



მ. ვოლდე.

# მედლები, ქულები...

მდგომარეობა 22 ოქტომბრისათვის

| | ო. | ვ. | ბ. | IV. | V. | VI. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 27 | 18 | 19 | 14 | 11 | 14 | 433 |
| სსრ კავშირი | 13 | 13 | 12 | 11 | 10 | 9 | 266 |
| გდრ | 4 | 4 | 4 | 10 | 15 | 6 | 130 |
| გფრ | 3 | 7 | 5 | 4 | 5 | 10 | 108 |
| უნგრეთი | 8 | 6 | 9 | 3 | 3 | 2 | 104 |
| ავსტრალია | 4 | 6 | 4 | 5 | 3 | 6 | 101 |
| საფრანგეთი | 7 | 1 | 3 | 5 | 6 | 4 | 97 |
| ინგლისი | 4 | 3 | 2 | 5 | 5 | 4 | 80 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 7 | 3 | 6 | 4 | 74 |
| იტალია | 1 | 3 | 7 | 3 | 3 | 0 | 65 |
| იაპონია | 4 | 2 | 1 | 2 | 4 | 1 | 57 |
| კენია | 3 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 45 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 3 | 1 | 1 | 43 |
| ჰოლანდია | 2 | 4 | 0 | 2 | 0 | 2 | 42 |
| დანია | 1 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 36 |
| ირანი | 2 | 1 | 2 | 1 | 0 | 2 | 32 |
| შვეცია | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 31 |
| ბულგარეთი | 0 | 3 | 1 | 2 | 1 | 2 | 29 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 2 | 27 |
| მექსიკა | 0 | 2 | 0 | 3 | 2 | 2 | 25 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 19 |
| მონღოლეთი | 0 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 | 19 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 18 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 18 |
| ფინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 3 | 17 |
| ავსტრია | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 17 |
| ეთიოპია | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 15 |
| კუბა | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 15 |
| კანადა | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 3 | 14 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 12 |
| ტუნისი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 11 |
| ბელგია | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 8 |
| იამაიკა | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 8 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 6 |
| ნორვეგია | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| არგენტინა | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ტაივანი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| სენეგალი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| პერუ | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |

შენიშვნა: ო. — ოქრო, ვ. — ვერცხლი, ბ. — ბრინჯაო, IV, V VI — ადგილები, ქ. — ქულა.

# ოლიმპიადის ცაზლო

(დასასრული)

მსუბუქი

1. ა. მოვაჰედი (ირანი)
2. ე. ვილჩევი (ბულგარეთი)
3. სრეტერი (მონღოლეთი)
4. უ. უელსი (აშშ)
5. ზ. ბერიაშვილი (სსრ კავშირი)
6. შ. ჩანდი (ინდოეთი).

ქვესაშუალო

1. მ. ათალაი (თურქეთი)
2. დ. რობენი (საფრანგეთი)
3. დაგვასურენი (მონღოლეთი)
4. ა. მ. მომენი (ირანი)
5. ტ. სასაკი (იაპონია)
6. ი. შახმურადოვი (სსრ კავშირი).

საშუალო

1. ბ. გურევიჩი (სსრ კავშირი)
2. ჟ. მუნხ-ბატი (მონღოლეთი)
3. პ. გარჯევი (ბულგარეთი)
4. თ. პეკჰემი (აშშ)
5. ჰ. გურზოი (თურქეთი)
6. პ. დორონგი (გდრ).

ქვემძიმე

1. ა. აიკი (თურქეთი)
2. შ. ლომიძე (სსრ კავშირი)
3. ი. ჩატარი (უნგრეთი)
4. ს. მუსტაფოვი (ბულგარეთი)
5. ბაიანმუნხი (მონღოლეთი)
6. ჯ. ლუისი (აშშ).

მძიმე

1. ა. მედვედი (სსრ კავშირი)
2. ო. დურალიევი (ბულგარეთი)
3. ვ. დიტრიხი (გფრ)
4. ს. სტინგუ (რუმინეთი)
5. ლ. კრისტოფი (აშშ)
6. ა. ანვარი (ირანი).

წყალში ხტომა

ტრამპლინი (ვაჟები)

1. ბ. რაიტსონი (აშშ) — 170,15
2. კ. დიბიასი (იტალია) — 159,74
3. ჯ. ჰენრი (აშშ) — 158,09
4. ლ. დე-რივერა (მექსიკა) — 155,71
5. ფ. კანიოტო (იტალია) — 155,70
6. კ. რასელი (აშშ) — 151,75

... 9. მ. საფონოვი (სსრ კავშირი) — 141,02

... 11. ვ. ვასინი (სსრ კავშირი) — 139,59.

ცურვა

200 მ კომპლექსური (ვაჟები)

1. ჩ. ჰიკოკსი (აშშ) — 2.12,0 (ოლიმპიური რეკორდი)
2. დ. ბეკინგჰემი (აშშ) — 2.13,0
3. ჯ. ფერისი (აშშ) — 2.13,3
4. ხ. ბელო (პერუ) — 2.13,7
5. ჯ. სმითი (კანადა) — 2,15,9
6. ჯ. ჯილქრისტი (კანადა) — 2.16,6.

200 მ კომპლექსური (ქალები)

1. კ. კოლბი (აშშ) — 2.24,7 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ს. პედერსენი (აშშ) — 2.28,8
3. ჯ. ჰენი (აშშ) — 2.31,4
4. ს. სტეინბახი (გდრ) — 2.31,4
5. ი. ნისიგავა (იაპონია) — 2.33,7
6. მ. ზეიდელი (გდრ)—2.33,7.

400 მ. თავისუფალი სტილით (ქალები)

1. დ. მაიერი (აშშ) — 4.31,8 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ლ. გუსტავსონი (აშშ) — 4.35,5
3. კ. მორასი (ავსტრალია) — 4.37,0
4. პ. კრუზე (აშშ) — 4.37,2
5. გ. ვეტცკო (გდრ) — 4.40,2
6. ტ. რამირესი (მექსიკა) — 4.42,2.

ფარიკაობა

რაპირა (ქალები)

1. ე. ნოვიკოვა (სსრ კავშირი)
2. მ. როლდანი (მექსიკა)
3. ი. რეიტო (უნგრეთი)
4. ბ. გაპე (საფრანგეთი)
5. კ. პალმი (შვეცია)
6. გ. გოროხოვა (სსრ კავშირი).

მარათონი

1. მ. ვოლდე (ეთიოპია) — 2:20.26,4
2. კ. კიმიხარა (იაპონია) — 2:23.31,0
3. მ. რაიენი (ახალი ზელანდია) — 2:23.45,0
4. ი. აკსაი (თურქეთი) — 2:25.18,8
5. უ. ედკოკსი (ინგლისი) — 2:25.33,0
6. მ. გებრუ (ეთიოპია) — 2:27.16,8.

ესტაფეტა 4×100 მ (ქალები)

1. აშშ (ბ. ფერელი, მ. ბეილსი, მ. ნეტერი, ვ. ტაიესი) — 42,8 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. კუბა (მ. ელეჰარდე, ფ. რომანი, ვ. კესადა, მ. კობიანი) — 43,3
3. სსრ კავშირი (ლ. ჟარკოვა, ვ. პოპკოვა, გ. ბუხარინა, ლ. სამოტიოსოვა) — 43,4 (ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდი)
4. ჰოლანდია — 43,4
5. ავსტრალია — 43,4
6. გფრ — 43,6.

ესტაფეტა 4×100 მ (ვაჟები)

1. აშშ (ჩ. გრინი, მ. პენდერი, რ. რეი სმითი, ჯ. ჰაინსი) — 38,2 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. კუბა (გ. რამირესი, ხ. მორალესი, პ. მონტესი, ე. ფიგეროლა) — 38,3
3. საფრანგეთი (ჟ. ფენუი, ჟ. დელეკური, კ. პიკემალი, რ. ბამბიუკი) — 38,4
4. იამაიკა — 38,4
5. გდრ — 38,6
6. გფრ — 38,7.

ესტაფეტა 4×400 მ

1. აშშ (ვ. მეტიუსი, რ. ფრიმენი, ლ. ჯეიმსი, ლ. ევანსი) — 2.56,1 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. კენია (დ. რუდიშა, მ. ნიამო, ნ. ბონი, ჩ. ასატი) — 2.59,6
3. გფრ (ჰ. მიულერი, მ. კინდერი, გ. ხენიგი, მ. ელინგჰაუსი)—3.00,5
4. პოლონეთი — 3.00,5
5. ინგლისი — 3.01,2
6. ტრინიდადი და ტობაგო — 3.04,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEXICO 68

# ეპიცენტრი შეიცვალა

(დასასრული)

200 მეტრზე ბრასით ცურვაში გაიმართა ნახევარფინალური შეჯიბრებები. სსრ კავშირის სამივე სპორტსმენი (ვ. კოსინსკი — 2.32,1, ე. მიხაილოვი — 2.32,8, ნ. პანკინი — 2.33,1) ფინალში გავიდა. ამასვე ვერ ვიტყვით გულადმა მოცურავე ვაჟებზე. ი. გრომაკი და ვ. მაზანოვი 100 მეტრზე შეჯიბრების ნახევარფინალში დამარცხდნენ და მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდნენ. მათი ბედი გაიზიარა თ. სოსნოვამაც, რომელმაც 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უხეირო შედეგი აჩვენა.

ცეცხლსასროლიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში მინსკელმა ვ. პარხიმოვიჩმა ბრინჯაო მოიპოვა. მან ბრწყინვალედ ისროლა წოლელა (395 ქულა), სამაგიეროდ, ცუდად შეასრულა ვარჯიში დგომელა მდგომარეობიდან (366). საბოლოოდ, პარხიმოვიჩმა 1154 ქულა დააგროვა და 8 ქულით წააგო ჩემპიონთან — გ. კლინგერთან (გფრ).

საბჭოთა წყალბურთელებმა აშშ-ს სპორტსმენებს ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალში გასვლის იმედი გაუქარწყლეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჩვენებმა დაამარცხეს ამერიკელები — 8:3 (1:1, 2:1, 2:1, 3:0). ამ მატჩში თავი ისახელა ჩვენი გუნდის მეკარემ ვ. გულიაევმა, რომელმაც არაერთხელ იხსნა კარი ნაღდი გოლისგან. თამაშის ბოლოს მან 4-მეტრიანი საჯარიმოც კი მოიგერია. ამგვარად, „ა" ჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდნენ სსრ კავშირის (ჯგუფში II ადგილი) და უნგრეთის (I ადგილი) წყალბურთელები.

„ბ" ჯგუფში იტალიელებმა ჰოლანდიელებთან შეხვედრა ფრედ (3:3) დაამთავრეს, მაგრამ მაინც I ადგილი გაინაღდეს. ჯგუფში II ადგილისთვის და, ბუნებრივია, ნახევარფინალის საგზურისთვის სამი გუნდი უწევს ერთმანეთს მეტოქეობას. ესენი არიან იუგოსლავიის, გდრ-ის და ჰოლანდიის წყალბურთელები, რომლებმაც ტურნირში 8-3 ქულა დაკარგეს.

ცხენოსან სამჭიდელთა ბოლო დღის ასპარეზობაში საბჭოთა მხედარს ჰ. დეევს ოლიმპიური ოქროს მედლის ბრწყინვალებამ, როგორც ჩანს, თვალი მოსჭრა და ბოლოს ხელთ ალარაფერი შერჩა. მისმა წარუმატებლობამ საბჭოთა გუნდიც უკან დასწია. საქმე ის გახლავთ, რომ დეევი საბჭოთა გუნდის მესამე ჩამთვლელი სპორტსმენი გახლდათ და მისი წარმატების შემთხვევაში ჩვენები გუნდურ III ადგილს დაიკავებდნენ, მისი მარცხის გამო კი გუნდის სხვა წევრებმაც ნოლი ქულა მიიღეს. ჩემპიონობა მოიპოვეს დიდი ბრიტანეთის ცხენოსნებმა. სამჭიდში ოლიმპიური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა 36 წლის ფრანგმა ოფიცერმა ჟან-ჟაკ გიიონმა.

აუდიტორიო ნასიონალის" დარბაზში შეჯიბრება დაიწყეს ტანმოვარჯიშე ქალებმა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა — 191,15 ქულა. მათმა მთავარმა მეტოქეებმა — ჩეხოსლოვაკიელებმა 190,20 ქულა მოაგროვეს. პირად ჩათვლაში წინაა ტოკიოს ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი ვ. ჩასლავსკა — 38,85. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ლ. პეტრიკსა და ზ. ვორონინას ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ. გუნდის ლიდერი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. კუჩინსკაია ორძელზე ვარჯიშისას ჩამოვარდა და მხოლოდ 8,45 ქულა მიიღო. ახლა მას 37,75 ქულა აქვს.

მოფარიკავე ე. ნოვიკოვას ოქროს მედალმა ვაჟკაცური სული შთაბერა საბჭოთა ესპადრონისტებს, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს. მათ გაიმეორეს ტოკიოს ოლიმპიადის წარმატება. ფინალში საბჭოთა მოფარიკავეების წინააღმდეგ იბრძოდნენ იტალიელები. როცა ანგარიში 7:7 იყო, საფარიკაო ბილიკზე გამოვიდა ე. ვინოკუროვი. იგი მეტოქესთან აგებდა (3:4), მაგრამ შემდეგ ძალა მოიკრიბა, სწრაფად შეუტია იტალიელს და ორი გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენა. ბოლო შეხვედრა ვ. ნაზლიმოვმაც მოიგო და გუნდური გამარჯვება საბჭოთა მოფარიკავეებს ხვდათ — 9:7. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა გუნდიდან ერთადერთმა ნაზლიმოვმა მოიგო ყველა შეხვედრა (4). გუნდის წევრებს — მ. რაკიტას, ე. ვინოკუროვს, ვ. ნაზლიმოვს და ნაკრების დებიუტანტს ვ. სიდიაკს ოქროს მედლები გადაეცათ. III ადგილზე გავიდნენ უნგრელი ესპადრონისტები.

ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში სსრ კავშირის ნაკრებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად საბჭოთა სპორტსმენებმა იაპონელები დაამარცხეს — 3:1 (4:15, 15:13, 15:9, 15:13). თავდაპირველად ჩვენმა გუნდმა თამაში ვერააწყო, მაგრამ შემდეგ ფრენბურთელები გააქტიურდნენ და 2-საათიანი მძიმე ბრძოლა გამარჯვებით დაამთავრეს. მანამდე საბჭოთა გუნდმა დაამარცხა გდრ-ის ნაკრები — 3:2. საბჭოთა სპორტსმენებს კიდევ სამი მატჩი დარჩათ გასამართავი. მათი მომავალი მეტოქეები არიან მექსიკის, ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. ფიქრობენ, რომ ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობას გაარკვევს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელთა ბოლო მატჩის შედეგი. ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს ბულგარეთის ნაკრები — 3:2, გდრ-ის გუნდმა — აშშ-ს ფრენბურთელები — 3:0, პოლონელებმა — ბრაზილიელები — 3:0.

ჩვენმა ფრენბურთელმა ქალებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს აშშ-ს სპორტსმენებთან — 3:1 (15:11, 6:15, 15:4, 15:6).

კალათბურთელებმა დაამთავრეს შეხვედრები ქვეჯგუფებში. „ა" ჯგუფიდან ნახევარფინალში გასვლის უფლება მოიპოვეს აშშ-ს და იუგოსლავიის გუნდებმა, „ბ" ჯგუფიდან — სსრ კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებმა კოლექტივებმა. ნახევარფინალში საბჭოთა სპორტსმენების მეტოქეები არიან იუგოსლავიელები, ხოლო აშშ-ს გუნდისა — ბრაზილიელები. აქ გამარჯვებულნი ფინალის საგზურებს მიიღებენ.



ვ. მანკინი.



შუბის მტყორცნელთა შეჯიბრება ბრწყინვალე შედეგით რომ მოიგო, საბჭოთა სპორტსმენმა იანის ლუსისმა გულწრფელად უამბო რეპორტიორებს:

— პირველი ხუთი ცდის დროს სულ არ ვღელავდი და რაღაც განსაკუთრებით თავდაჯერებული ვიყავი. მხოლოდ მაშინ, ბოლო, მეექვსე ცდის დრო რომ დადგა, როცა მივხვდი, რომ ლიდერებთან ვაგებ, — რაღაც მღელვარება ვიგრძენი, თუმცა ამ სეზონში თერთმეტჯერ ვტყორცნე შუბი 90 მეტრს იქით. ასეთ მღელვარებაში ვტყორცნე შუბი და მან, როგორც ხედავთ, ოლიმპიური გამარჯვება მომიტანა...

მექსიკის გაზეთი „სოლი" წერს:

— საინტერესოა, რამდენ ოქროს ოლიმპიურ მედალს წაიღებენ სამშობლოში საბჭოთა სპორტსმენები, ყველამ ერთბაშად რომ იგრძნოს ასეთი „მღელვარება"?

* * *

ამერიკელი სპორტსმენი ქალი პომარი ექვსი ოლიმპიადის მონაწილეა. ამ თვალსაზრისით მას ეკუთვნის რეკორდი, რომელსაც მეხიკოში ვერავინ გააუქმებს. ინგლისელი ვერნონ მორგანი სპორტსმენი არ არის, მაგრამ მასაც აქვს თავისებური „მსოფლიო მიღწევა". რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი უკვე მერვე ოლიმპიადას ესწრება. ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს ინტერვიუს ჩამოვართმევთ ჟურნალისტსო. რა აზრისაა მორგანი საერთოდ ოლიმპიურ თამაშებზე?

— მინდა ყველა სკეპტიკოსს ვუთხრა: ოლიმპიური მოძრაობა არის მოძრაობა პროგრესისკენ მიმავალ ხაზზე. ყოველ ოლიმპიადაზე ხედავ, როგორ იზრდება სპორტის მასობრიობა მთელს მსოფლიოში, როგორ იპყრობს ოლიმპიური იდეები იმ ადამიანებს, რომელთაც ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდათ სპორტზე.

შეკითხვაზე: „თქვენი ოლიმპიადებიდან რომელი იყო ყველაზე უკეთესი?" — ვეტერანმა უპასუხა: „ვფიქრობ, ჩემი ყველაზე უკეთესი ოლიმპიადა იქნება საიუბილეო — მეათე, რომელსაც, იმედი მაქვს, დავესწრები".

* * *

ოლიმპიადის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა 11 წლის პუერტორიკოელი ლიანა ვისენსი. იგი გამოვა 200 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში, აგრეთვე, 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. ლიანას უკვე აქვს ჩემპიონის ტიტული — მან გაიმარჯვა ცენტრალური ამერიკის თამაშებში გოგონებს შორის.

* * *

ვის არ უნდა ოლიმპიადაში მონაწილეობა? მაგრამ როცა რინგზე პოლონელ ა. ოლეხთან შესახვედრად პუერტორიკოელი ე. სიქტურონი ავიდა, მსაჯმა ყურადღებით შეხედა მას და სთხოვა, სარბიელი დატოვეო. მსაჯის ეჭვი გამართლდა. აღმოჩნდა, რომ სიქტურონი მხოლოდ 16 წლისა ყოფილა.

პუერტო-რიკოს წარმომადგენელმა მეორე ოლიმპიადას უნდა უცადოს, მაგრამ მაინც როგორ მოხვდა იგი მეხიკოში შეჯიბრების მონაწილედ, არავინ იცის.

* * *

ბევრ ვეტერანს უჭირს სპორტთან განშორება. მეხიკოში ტურისტად ჩამოვიდა ოლიმპიადის ბევრი ჩემპიონი, რომელთაც ოქროს მედლები 30 და 50 წლის წინათაც კი აქვთ მოპოვებული. მეხიკოს თამაშებზე ჩამოსულ ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის უხუცესია 83 წლის ამერიკელი ფრედ კელი, რომელმაც 1912 წლის ოლიმპიადაში თარჯრბენი მოიგო. კელის ეკუთვნის სენსაციური განცხადება ჟურნალისტებთან საუბარში.

„ამერიკელი ევერი ბრენდეჯი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახლანდელი თავმჯდომარე, ჩემ დროს არც ისე კარგად დარბოდა".



გ. პროზუმენშჩიკოვა.

## ბ. გურგენიძე საერთაშორისო ოსტატია

ლუგანო, 21 ოქტომბერი. მოჭადრაკეთა XVIII ოლიმპიადის III ტურში საბჭოთა სპორტსმენები პორტუგალიელებს ხვდებოდნენ. საბჭოთა გუნდში არ თამაშობდნენ ლიდერები — ტ. პეტროსიანი და ბ. სპასკი. ვ. კორჩნოიმ, ე. გელერმა და ვ. სმისლოვმა პარტიები მოიგეს, ხოლო ლ. პოლუგაევსკიმ შეხვედრა გადადო. ამრიგად, 3 ტურის შემდეგ თავიანთ ნახევარფინალურ ჯგუფში საბჭოთა ოლიმპიელებს 10,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვთ.

აქვე მიმდინარეობს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 39-ე კონგრესი. მისი გადაწყვეტილებით საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა ა. ლეინს (მოსკოვის ოლქი) წლეულს სარაევოს საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისთვის.

საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიხვეჭეს რ. ბილუნოვამ (მოსკოვის ოლქი) და თბილისელმა ბ. გურგენიძემ. საერთაშორისო არბიტრები გახდნენ ა. კოზლოვი (სვერდლოვსკი), ვ. მიკენასი (ვილნიუსი), ე. კესელმანი (გორკი), ბ. რავკინი (მოსკოვი) და ლილო წეროძე (თბილისი).

● ვოლგოგრადი, 20 ოქტომბერი. ძალოსანთა შეჯიბრებაში მძიმე წონის ათლეტმა ვ. კუზმინმა იუნიორთა სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან აიტაცა 150,5 კგ, აჰკრა 195,5 და სამჭიდში აჩვენა 512,5 კგ.

● კონოტოპი, 20 ოქტომბერი. უკრაინელ ძალოსანთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში ქვემძიმე წონის ლუგანსკელმა ათლეტმა ა. კიდიაევმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჰიმვაში. მან 176 კგ აჩვენა, რაც 0,5 კილოგრამით აღემატება XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ფინელ კ. კანგასნიემის წინანდელ რეკორდს.

● ტალინი, 20 ოქტომბერი. აქ დამთავრებულმა ქალთა საკავშირო პირველობამ რუსულ შაშში ჩემპიონი ვერ გამოავლინა. რიგელმა ი. ცინიამ და ლენინგრადელმა ი. სპასკაიამ 8,5-8,5 ქულა დააგროვეს 13 შესაძლებლიდან და ახლა მათ შორის დამატებითი მატჩი გამოავლენს ქვეყნის ჩემპიონს. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ლენინგრადელ გ. გლაზოვას.

◆ ახმეტა

კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა რაიონული პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დუისელებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ახმეტელი და ქისტაურელი მოჭიდავეები. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. შარმაზანაშვილმა, თ. ჯანიბეგაშვილმა, ა. ცისკარიშვილმა, ვ. ჭიკაძვილმა, ს. მარგოშვილმა, ზ. ქინქლაძემ, ვ. გაურგაშვილმა.

შ. ნათელაური.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — ცსკა 0:4 (0:1).

„ტორპედო“: კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ასიტაშვილი, ნაჭყებია, ზარია (ჭოლაძე), ჩიხლაძე (ჭითანავა), ვეკუა, ხერხაძე.

ცსკა: პშენიჩნიკოვი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, კაპლიჩნი, ისტომინი (პატრიკეევი), პლახეტკო, მასლიაევი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, ჟიგუნოვი (შჩერბაკოვი).

მსაჯი ფ. ტიურიკოვი (ხარკოვი).

დუბლიორები — 1:1.

# ტორპედოელებმა სუსტად ითამაშეს

არმიელთა გუნდის დაცვის სიძლიერე ყველამ კარგად იცის. სსრ კავშირის ნაკრების წევრთაგან დაკომპლექტებული ეს რგოლი, რომელსაც სათავეში უდგას მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი ფეხბურთელი შესტერნიოვი, ამ დღეს განსაკუთრებით შთამბეჭდავად და ძლიერად გამოიყურებოდა. ამ გაუვალი ზღუდის წინააღმდეგ ტორპედოელთა თავდასხმა უმწეო ჩანდა. ტაიმმა განვლო ისე, რომ მასპინძლებს სულ ორად ორი მომენტი ჰქონდათ. ჯერ ვეკუას დარტყმა აილო პშენიჩნიკოვმა, ხოლო შემდეგ ასიტაშვილმა ააცილა კარს შორი მანძილიდან. სამაგიეროდ, კოტრიკაძეს მძიმე სამუშაო აწვა და მრავალი ხიფათისგან მოუხდა თავისი გუნდის ხსნა.

ანგარიში გაიხსნა მე-12 წუთზე. მასპინძელთა დაცვამ საშუალება მისცა პოლიკარპოვს შეუფერხებლად გასულიყო საგოლე პოზიციაში და გაეტანა ბურთი — 1:0.

შესვენების შემდეგ პოლიკარპოვმა მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა და საკუთარ თავზე აიღო არმიელთა იერიშების ლიდერობა. შემდგომი 2 ბურთი „ტორპედოს“ კარში სწორედ მისი თანაავტორობით იქნა გატანილი. მე-60 წუთზე პოლიკარპოვის გადაცემა ზუსტად გამოიყენა შჩერბაკოვმა, ხოლო 74-ე წუთზე — მასლიაევმა. 3:0!

ორიოდე წუთიც არ იყო გასული, როცა ფედოტოვმა კიდევ ერთი გოლით დაამთავრა ცსკა-ს შეტევა და არმიელებმა დამსახურებული გამარჯვება ჩაიწერეს.

ქუთაისის „ტორპედომ“ აღნიშნული მატჩი ჩაატარა განსაკუთრებით სუსტად, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა. ერთადერთი მოთამაშე, რომელიც კოლექტივში გამოირჩეოდა, იყო ხერხაძე, მაგრამ მას თითქმის არავითარი მხარდაჭერა არა ჰქონია პარტნიორთა მხრივ.

**შ. ნიჟარაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ა“ კლასი I ჯგუფი

# გუშინ...

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი „ა“ კლასის I ჯგუფში. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი“.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა მინიმალური გამარჯვებით — 1:0. გოლი 86-ე წუთზე გაიტანა გავაშელმა.

გუშინვე ჩატარდა ტურის სხვა შეხვედრები:

„არარატი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:2

„დინამო“ (კიროვაბადი) — „კაირატი“ 2:4

„ნეფტჩი“ — „პახტაკორი“ 2:1





ხ უ რ ა თ ზ ე: თასის მფლობელი — თბილისის „სინათლე“. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ლორია, თ. იმნაძე, მ. მამისაიშვილი, ე. გუგუშვილი, თ. სუხაშვილი. დგანან — ე. სილაგავა, ო. დვალი, ვ. ნემსაძე (გუნდის კაპიტანი), შ. დევდარიანი, ო. კერესელიძე, თ. შუბითიძე, რ. აივაზოვი, გ. სიმონიშვილი, ნ. ვარდოსანიძე. მარცხნივ — გუნდის მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. სიხარულიძე. მარჯვნივ — მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ვ. ირემაძე.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



# 11 წლის შემდეგ...

„მილიონთა თასი“ — ასე ეწოდება სსრ კავშირის თასის გათამაშებას ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. იგი, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და საინტერესო შეჯიბრებაა ჩვენს ქვეყანაში წარმოება-დაწესებულებათა, ქარხანა-ფაბრიკებისა და ორგანიზაციების ფეხბურთელთათვის. ასპარეზობის გრანდიოზულ მასშტაბებზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 25 ათასმა გუნდმა.

და აი, ამ რთულ ეტაპობრივ ბრძოლაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ფეხბურთელებმა — თბილისის ტრანსპორტელთა მეგობრულმა კოლექტივმა „სინათლემ“ (სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“).

ეს თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს გუნდის პირველი ასეთი გამარჯვება არაა. 11 წლის წინ სწორედ ამ კოლექტივმა (მაშინდელი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი) შეძლო „მილიონთა თასის“ მოპოვება და ახლა კვლავ მიაღწია სახელოვან წარმატებას.

„სინათლემ“ ჯერ მოიგო თბილისის 1-ლი მაისის სახ. რაიონის თასი, შემდეგ გაიმარჯვა საქალაქო შეჯიბრებაში და ბოლოს დაეუფლა რესპუბლიკურ თასსაც.

საკავშირო თასის გათამაშებაში თბილისელთა პირველი მოწინააღმდეგე იყო კრასნოიარსკის „ენისეი“. ბრძოლა მიმდინარეობდა კრასნოიარსკში და მეტოქეებს სამჯერ მოუხდათ მინდორზე გამოსვლა, სანამ გამოვლინდებოდა უძლიერესი. პირველი თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2, მეორე — 1:1. მესამე შეხვედრა თბილისელებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგეს ანგარიშით 1:0. ეს გადამწყვეტი ბურთი „ენისეის“ კარში გაიტანა იმნაძემ.

შემდეგ „სინათლესთან“ სათამაშოდ უნდა ჩამოსულიყო სომხეთის თასის მფლობელი „არაქსი“ (ერევანი), მაგრამ ეს გუნდი არ გამოცხადდა მატჩზე და თბილისელები გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპზე, სადაც მათი მოწინააღმდეგე იყო ლვოვის „პოლიტოტდელი“. აქაც გამარჯვება წილად ხვდა „სინათლეს“ — 1:0 (გოლი გაიტანა სუხაშვილმა).

ნახევარფინალში ჩვენს გუნდს კენჭისყრით მოუწია თამაშმა ქ. შევჩენკოში (ყაზახეთი), ადგილობრივ „ტრუდთან“ და, თუმცა, ამ ქალაქის საფეხბურთო მინდორი თავისი ხარისხით არ პასუხობდა არსებულ სტანდარტს, პირველი მატჩი მაინც იქ შედგა და დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ამ მატჩს ესწრებოდნენ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ შევჩენკოს მინდორი არ ვარგა სათამაშოდ და ამიტომ მატჩი გადაიტანეს ქ. მინვოდის მახლობლად — ლერმონტოვოში. აქ თბილისელებმა ცხადყვეს თავიანთი უპირატესობა და დაამარცხეს „ტრუდი“ ანგარიშით 2:0 (გოლების ავტორები არიან დევდარიანი და აივაზოვი).

დადგა ფინალის დღე. 18 ოქტომბერს მაიკოპში თასის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „სინათლე“ და მინსკის „ტორპედო“.

ფინალი უკიდურესად მწვავე ბრძოლაში ჩატარდა. საერთო ტერიტორიული უპირატესობა პირველ ტაიმში მინსკელებს ჰქონდათ, მაგრამ თბილისელები უნარიანად ახორციელებდნენ კონტრშეტევებს. შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად „სინათლემ“ აიღო ხელთ, რაც დამთავრდა სიმონიშვილისა და თაბაგარის ზუსტი დარტყმებით.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა, რომელთაც გადაეცათ საპატიო პრიზი — „მილიონთა თასი“.

ეს თბილისის „სინათლის“ მთელი კოლექტივის დიდი და დამსახურებული წარმატებაა. გუნდს საზოგადოებრივ საწყისებზე წვრთნის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. სიხარულიძე, რომელიც ათეული წლებია ამ კოლექტივში მუშაობს და თასის პირველი მოპოვების დროსაც მისი ხელმძღვანელი იყო. „სინათლის“ მწვრთნელია სპორტის ოსტატი ვ. ირემაძე, რომელიც მისი კაპიტანი იყო 11 წლის წინ.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა მხურვალედ ულოცავს „სინათლის“ მთელ კოლექტივს ამ დიდ, ღირსეულ გამარჯვებას.

**დ. ჯინჯარაძე.**

„ა“ კლასი II ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ოქტომბრისათვის

### III ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 36 | 22 | 10 | 4 | 58—18 | 54 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 36 | 16 | 15 | 5 | 28—14 | 47 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 36 | 17 | 11 | 8 | 50—25 | 45 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 36 | 18 | 9 | 9 | 49—27 | 45 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 35 | 18 | 8 | 9 | 49—28 | 44 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 36 | 14 | 14 | 8 | 38—27 | 42 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 36 | 12 | 13 | 11 | 39—33 | 37 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 36 | 12 | 13 | 11 | 31—34 | 37 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 37 | 11 | 15 | 11 | 29—34 | 37 |
| „პოლადი“ (სუმგაითი) | 35 | 13 | 9 | 13 | 29—36 | 35 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 35 | 11 | 12 | 12 | 36—34 | 34 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 37 | 12 | 10 | 15 | 44—44 | 34 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 37 | 13 | 7 | 17 | 40—55 | 33 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 35 | 10 | 12 | 13 | 40—35 | 32 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 36 | 10 | 13 | 13 | 30—32 | 32 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 36 | 11 | 10 | 15 | 29—37 | 32 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 36 | 10 | 10 | 16 | 36—49 | 30 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 36 | 7 | 14 | 15 | 27—51 | 28 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 36 | 5 | 17 | 14 | 27—42 | 27 |
| „თერგი“ (გროზნო) | 36 | 7 | 12 | 17 | 39—51 | 26 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 35 | 6 | 10 | 19 | 23—51 | 23 |

# ფინალში — დინამოელები და არმიელები

დაიწყო სსრ კავშირის ჩოგბურთელთა პირველობის დასკვნითი შეხვედრები. I ჯგუფის გუნდების ნახევარფინალში იოლი გამარჯვება მოიპოვეს დინამოელებმა (დაამარცხეს „ტრუდი“ (I) — 13:4) და არმიელებმა (მოუგეს „ბურევესტნიკს“ — 13:6). ახლა ეს გუნდები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს და გაირკვევა სსრ კავშირის ჩემპიონის ვინაობა. III-IV ადგილებისთვის ითამაშებენ „ტრუდი“ (I) და „ბურევესტნიკი“. „დინამოსა“ და „ტრუდის“ ნახევარფინალურ შეხვედრაში მაყურებლებმა ამ ტურნირში პირველად იხილეს ქართველი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი, რომლის მეტოქე იყო შაპირო. მეტრეველმა სწრაფად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე — 6:2, 6:1. სენსაცია იყო დინამოელ გ. ბაკშეევას მარცხი სლეპჩენკოსთან — 6:3, 4:6, 5:7.

მეორე ჯგუფის გუნდებმა გამართეს შეხვედრები V-VI და VII-VIII ადგილებისთვის. „ზენიტმა“ იოლად დაამარცხა „ზახმეტი“ (9:1) და საბოლოოდ V ადგილი დაიკავა. VII ადგილზე გავიდა „ტრუდი“ (II), რომელმაც მოუგო „აშხატანქს“.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

**ჩოგბურთი.** „დინამოს“ კორტები (სანაპიროზე), თბილისის სპორტკავშირის (მარჯანიშვილის ქ. № 29), „განთიადის“ (პლეხანოვის პრ. № 117), ფიზკულტურის ინსტიტუტის (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49) მოედნები. 28 ოქტომბერი — 3 ნოემბერი. სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პირადგუნდური ჩემპიონატი. დასაწყისი 10 ს.

**რაგბი.** „ისნის“ სტადიონი. 23-27 ოქტომბერი. თბილისის პირველობა. დასაწყისი 10 ს.

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. 23-27 ოქტომბერი. თბილისის პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. (8) უე 04282